ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №3001127

ნომერი: AR1460464

თარიღი : 30.11.2016

გაცემის თარიღი : 28.12.2016

გაცნობის თარიღი : 28.12.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შარტავა , N 39 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- რევაზ ტყემალაძე პ/ნ 01024004230
- ჭავჭავაძის 12

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 30/11/2016 წლის №AR1460464 განაცხადით მომართა რევაზ ტყემალაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 24/11/2016

წლის №2961309 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებით ქ. თბილისში, ქუჩა შარტავა, №39, შპს „ინდეკოს" საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთის საკადასტრო კოდი: №01.10.13.015.078) შეთანხმდა მრავალფუნქციური კომპლექსის/შენობის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2016 წლის 24 ნოემბრიდან 2017 წლის 24 სექტემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებით შეთანხმებულ +52.80 ნიშნულის სართულის გეგმაზე არასწორად იყო მითითებული საზაფხულო ფართობი, რის გამოც 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანების ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ: საზაფხულო ფართობი ნაცვლად 1064.3 კვ.მ-ისა უნდა იყოს 1060.9 კვ.მ, ხოლო საერთო ფართობი - 7392.6 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მოთხოვნისა და შესაბამისი საპროექტო დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ განმცხადებლის მოთხოვნა საფუძვლიანია. შესაბამისად, მიზანშეწონილად ჩათვალა დააკმაყოფილოს განმცხადებლის მოთხოვნა და გაასწოროს ტექნიკური შეცდომა მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში. ასევე, 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებით შეთანხმებული +52.80 ნიშნულის სართულის გეგმა ჩაანაცვლოს განმცხადებლის მიერ 30/11/2016 წლის №AR1460464 განაცხადით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის სართულის გეგმით.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,
ვბრძანებ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებაში და ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საზაფხულო ფართობი (კვ.მ).:1060.9, საერთო ფართობი (კვ.მ).:7392,6;
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებით შეთანხმებული +52.80 ნიშნულის სართულის გეგმა ჩანაცვლდეს განმცხადებლის მიერ 30/11/2016 წლის №AR1460464 განაცხადით წარმოდგენილი იმავე ნიშნულის სართულის გეგმით.
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 24/11/2016 წლის №2961309 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.